## ხელშეკრულება № 7
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
## (საქონლის შესყიდვა )

20 ივნისი 2012 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის (შემდგომში-შემსყიდველი), მისი დირექტორი თამაზ ანდღულაძის სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში-მიმწოდებელი) ი/მ "მზია რაზმაძი"-ს სახით, ვხელმძღვანელობთ რა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცებული პროგრამის თანამედროვე ხელოვნების განვითარების პროგრამის 01 12 08 03-ის ფარგლებში ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. 2012 წლის ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის, ბიუჯეტის სახსრებით სამეურნეო, საკანცელარიო საქონლის შესყიდვისათვის თანხების გამოყოფის შესახებ. შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტი: სამეურნეო, საკანცელარიო საქონლის შესყიდვა.

### 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება.

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით ლარებში . შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი: ქაღალდი 5ცX10=50ლ, საწერი კალამი 100ცX0.20=20ლ, ფანქარი 30ცX0.50=15ლ, კორექტორი 10ცX1.50=15ლ, ფაილი 10შეკ.X5.0=50ლ, კლიფსი 10კოლX3.50=35ლ, კლიფსი 10კოლX2.50= 25ლ, საპონი 70ცX1.0=70ლ, ტუალეტის ქაღალდი 70ცX1.0=70ლ, სტ. ტუალეტის ქაღალდი 6ცX2=12ლ, ვეშოლკა ხის 50ცX2.50=125ლ, ჩრჩილის წამალი 20ცX3=60ლ, ბრელოკი 100ცX0.40=40ლ, სტეპლერი 2ც X5=10ლ.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა: 597(ხუთასოთხმოცდაჩვიდმეტი)ლარი.

### 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს.

### 4. შესრულების მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 შესრულების ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 20 ივნისიდან 20 ივლისის ჩათვლით.

4.2. შესრულების მიწოდების ადგილია: ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე, დ.აღმაშენებლის გამზირი № 103.

4.3. შესრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედდებულის დავალებით.

### 5. შესყიდვის მიღება - ჩაბარების წესი

5.1. შესრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ, საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ავანსად ეროვნული ვალუტით ლარებში, მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუმეტეს 2012 წლის 20 ივნისიდან 20 ივლისის ჩათვლით.

6.2 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

### 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათ-

...ისწინებული პირობებით.
მომწოდებელი ვალდებულია:
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ(დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითივადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012წლის 20 ივნისიდან 20 ივლისის ჩათვლით.

## 10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა.

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებანი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია დამკვეთი ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის დირექტორი თამაზ ანდღულაძე.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შეწუნდების მიზეზების მითითებით გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენი-

წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია: ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„ შემსყიდველი"

"ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე"
ს/კ 202056069
მის: დ. აღმაშენებელის №103
სს „ლიბერთი ბანკი"-ს
დიდუბის ფილიალი
ჩუღურეთი №2 ს/ც
ა/ა **GE41LB0115174053177000**
ბ/კ LBRTGE22
ტელ: 95 94 73

დირექტორი:

თამაზ ანდღულაძე

„მიმწოდებელი"

ი/მ "მზია რაზმაძე"
ს/კ 01036002040
მის: დ. აღმაშენებლის №91
სს "საქართველოს ბანკი"
ა/ა **GE93BG0000000255614700**
ბ/კ **BAGAGE22**

ტელ: 577 410 367

ინდ/მეწარმე:

მზია რაზმაძე

# მ ი ღ ე ბ ა – ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს

## ა ქ ტ ი №7

თბილისი — “29” ივნისი 2012წ.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის (შემდგომში –შემსყიდველი), მისი დირექტორის თამაზ ანდღულაძის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში - შემსრულებელი), ი/მ „მზია რაზმაძი”-ს სახით, ვხელმძღვანელობთ რა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცებული პროგრამის თანამედროვე ხელოვნების განვითარების პროგრამის 01120803 –ის ფარგლებში დადებული 2012 წლის №7 ხელშეკრულების საფუძველზე ვადგენთ მიღება -ჩაბარების აქტს შემდეგზე: ი/მ „მზია რაზმაძი”-საგან შევიძინეთ საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი 597(ხუთასოთხმოცდაჩვიდმეტი)ლარის ოდენობით.

რაზედაც ხელს ვაწერთ:

| შემსყიდველი | შემსრულებელი |
|---|---|
| ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე | ინდ/ მეწარმე: |
| დირექტორი: | |
| თამაზ ანდღულაძე | მზია რაზმაძე |